2 ოქტომბერს ადგილობრივი მმართველობის არჩევნებია!

გურჯაანის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(248) 2021 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 1 ლარი

№11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიები

№ 1 „მესამე ძალა“

№ 2 „ევროპული საქართველო- მოძრაობა თავისუფლებისთვის“

№ 5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”

№ 8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

№ 9 „ლელო“

№ 10 „შალვა ნათელაშვილი- საქართველოს ლეიბორისტული პარტია“

№ 25 „გახარია - საქართველოსთვის“

№ 36 „გირჩი“

№ 37 „თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)“

№ 41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

№ 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” – დავითი ჯავახიშვილი

დაიბადა 1981 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ მზისგულში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა წმინდა ნიკოლოზის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 2005-2007 წლებში მსახურობდა ქართულ არმიაში. 2007-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს განსაკუთრებულ პირთა დაცვის სამმართველოში. 2008-2009 წლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებულ იქნა აშშ-ში. 2009-2015 წლებში მუშაობდა ამავე სამმართველოს ქვედანაყოფის უფროსად. 2015-2018 წლებში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მომზადების და გადამზადების უფროსი ინსპექტორია. არის ომის ვეტერანი, სამხედრო წოდებით ვიცეპოლკოვნიკი.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

№ 9. „ლელო“

ეკატერინე ქვლივიძე

დაიბადა 1986 წელს საგარეჯოში. მფრინავი. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მფრინავის რანგში, შემდგომ მოღვაწეობდა სამოქალაქო ავიაციაში, იყო საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, თელავის აეროპორტ „მიმინოს“ აღმასრულებელი დირექტორი. ზრდიდა მომავალ სპეციალისტებს ავიაციის მიმართულებით მფრინავ-ინსტრუქტორის პოზიციიდან. ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის აფილირებული ასოცირებული პროფესორი.

„რთველი-2021“ ძალაში შედის
გაიხსნა ყურძნის მიმღები ქარხნები

უკვე ორ კვირაზე მეტია მუნიციპალიტეტის ქვემო (აღმოსავლეთის) ზონის მევენახეები თავიანთი წლის მონაგარის დაბინავებას შეუდგნენ. ღვთის წყალობით გარეჯელი მეზვრეების გარჯის შედეგად წელს ვენახებს დასაწუნი მართლაც არაფერი სჭირთ და ახლა ჯერი ყურძნის დროულად და უდანაკარგოდ მორთვლიანება-დაბინავებაზეა, ამიტომ, ახლა, თოხლიაურიდან მოყოლებული, კახეთის გზატკეცილის გასწვრივ მრავლად შეხვდებით ყურძნის მყიდველის მომლოდინე მევენახეებს, რომ მოახდინონ ყურძნის „ხელზე“ რეალიზაცია, ნაწილი კი ყურძნის ქარხნებში ჩაბარებას ამჯობინებს მიუხედავად, მათი აზრით, ჯერჯერობით ყურძნის დაბალი შესასყიდი ფასებისა.

სექტემბრის მეორე ნახევრის (17-18 სექტემბრიდან) დასაწყისიდან ამ საქმეში მუნიციპალიტეტში არსებული ყურძნის პირველადი გადამამუშავებელი ქარხნებიც ჩაებნენ და 23 სექტემბრის მდგომარეობით ყურძენს მოსახლეობიდან უკვე იღებდნენ ნინოწმინდის ღვინის ქარხანა „კახეთი-3000“, საგარეჯოს პირველადი ქარხანა „საამო“, სადაც ყურძენს იბარებს სახელმწიფო, მოსავლის მართვის კომპანია და მანავის კახეთის ტრადიციული მეღვინეების (KTV) კომპანია. ყურძნის შესასყიდი ფასები რქაწითელზე 0.90 ლარია, ხოლო საფერავზე „კახეთი-3000“-ში – 1,50 ლარი.

წარმატებულ რთველს ვუსურვებთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეებს.

გივი დაგახიშვილი

№ 41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ –

ავთანდილ გულიკაშვილი

დაიბადა 1972 წლის 15 მარტს, საგარეჯოში.

განათლება:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, აგროინჟინერია;

საგარეჯოს №4 საშუალო სკოლა;

სამუშაო გამოცდილება:

2006-2021 მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი;

2005-2006 თბილისის მეტროპოლიტენის მომარაგების განყოფილების უფროსი;

1998 – 2005 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ჰყავს მეუღლე – ირმა ოთარაშვილი და ორი შვილი.

მუნიციპალური გვერდი

„ინფრასტრუქტურა-2021“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში - ***უჯარმა, პალდოსა და მუხროვანში*** სპეცტექნიკის საშუალებით, 18 სექტემბერს შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოსწორების სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ხუთშაბათს, 23 სექტემბერს მოსულმა სეტყვამ ყველა მცდელობა გზების მოწესრიგებისა ფუჭად დაასრულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

22 სექტემბერი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე*** **გიორგი ლალიაშვილი** უძღვებოდა. მან თათბირის დასაწყისშივე მუნიციპალიტეტის 25 ტერიტორიულ ორგანოში შემავალ 43-ივე სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ვრცელი ინფორმაცია, სადაც აღნიშნა თითოეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მდგომარეობა. თათბირის მონაწილე მერის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში წარმოადგინეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა მოგვარება ოპტიმალურ ვადებს მოითხოვს. აქვე დაისახა პრობლემების მოგვარების გზებიც.

თათბირს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციისა და მუშაობის ***განყოფილების უფროსი*** **ივანე ფანოზიშვილი** ესწრებოდა.

სტიქია ჩვენს მუნიციპალიტეტში

23 სექტემბერს სოფელ უჯარმაში ძლიერმა ნალექმა და სეტყვამ 10 -ამდე ოჯახი დააზარალა. დაზიანდა საკარმიდამო-ნაკვეთები და სახლის სახურავები. ადგილზე მობილიზებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, მოხდა ზარალის აღრიცხვა. სტიქიის შედეგებს ადგილზე გაეცნო ***მუნიციპალიტეტის მერი-*** **გიორგი ერგოფონაშვილი** და დაზარალებულ ოჯახებს საქართველოს მთავრობის მიერ დახმარება აღუთქვა, სტიქიამ წინა დღეებში მოწესრიგებული ქუჩები საგრძნობლად დააზიანა.

„ინფრასტრუქტურა-2021“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

გიორგიწმინდის თემი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს აგრძელებს.

სოფელ გიორგიწმინდაში საბავშვო ბაღის შენობის განახლების სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 258 898 ლარით ფინანსდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია - შპს “ მეტალ+” ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის მიხედვით, ნოემბრის ბოლოს დაასრულებს.

სანიაღვრე სისტემის გაწმენდის სამუშაოები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შპს “სუფთა მუნიციპალიტეტი 2018” - ის სამუშაო ჯგუფი სანიაღვრე სისტემის გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს. ამჯერად, სოფელ მანავში რამდენიმე ლოკაციაზე, წყალმოვარდნისა და ქუჩების დატბორვის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, უკვე გაიწმინდა სანიაღვრე სისტემები. აღნიშნული სამუშაოები სხვა ადინისტრაციულ ერთეულებშიც გაგრძელდება.

სოფელი ნინოწმინდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 297 000 ლარით ფინანსდება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “ ტერმინალი” ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში - ოქტომბრის ბოლოს დაასრულებს.



სოფელი პატარძეული

სოფელ პატარძეულში №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 282 879 ლარით ფინანსდება.

სამუშოებს ტენდერში გამარჯვებული კომპნია - შპს “მეტალი +” ხელშეკრულებით გათვლისწინებული ვადის მიხედვით, მიმდინარე წლის ნოემბერში დაასრულებს.

სოფელ პატარძეულში არსებული №1 საბავშვო ბაღს გასულ წელს სრული რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა.

სულ მალე, ყველა აღსაზრდელს ახალი, თანამედროვე სასწავლო გარემო ექნება.

თულარი-კაზლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

სოფელ თულარი-კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს.

პროექტის ჯამური ღირებულება 474 000 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია- სს “კავკასავტომაგისტრალი” ასრულებს.

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ!

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და "მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები -საქართველო"-ს ორგანიზებით, მსოფლიო დასუფთავების კამპანიის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთულში დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციას მერის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც შეუერთდა და წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ნარჩენებისა და ფოთლების გატანა განახორციელეს.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ �პᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტი, ძველი გარეჯის ქვეყანა, სხვა ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, მდიდარია თავისი ისტორიულ-რელიგიური სიძველეებითა და ძეგლებით, რომლებიც შესანიშნავ პირობებს ქმნიან ჩვენში საერთაშორისო, თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტურიზმის განვითარებისათვის. ვახტანგ გორგასლის ძველი სატახტო ქალაქი და მისი ციხე-ნაქალაქარი – უჯარმა, ხაშმის სამება-კაწარეთი, ნინოწმინდის საკათედრო ტაძარი, ძველი იერუსალიმის მოსაყდრე – დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, საქართველოს აღორძინების და შემდგომი ხანის მეფევაზირთა ნავსაყუდელი – მანავის ციხე, ჩაილურის ისტორიულ წყაროებში ცნობილი ციხე და სხვა მრავალი ის დიდი და ჯერჯერობით ასამოქმედებელი რესურსია, რომელთა ინფრასტრუქტურის მოწყობის საშუალებით უდიდესი პოტენციალი იხსნება ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური გაძლიერებისა და მსოფლიოში ქართული კულტურის ცნობადობის ამაღლებისათვის. ამას ემატება მუნიციპალიტეტის დიდი ეროვნული სიმდიდრეები – მარიამჯვარისა და ყორუდის სახელმწიფო ნაკრძალები, აქ დაცული ფლორისა და ფაუნის იშვიათი ეგზემპლარებით, რომლებიც ტურიზმის განვითარებასთან ერთად დიდ პერსპექტივებს შლიან მათში სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებისათვის.

სასიხარულო და მისასალმებელია ის, რომ ამ კუთხით ეს ბოლო წლებია, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის ხელმძღვანელობის ერთობლივი მოქმედებით უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ამოქმედდა და მიმდინარეობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა დასრულების შემდეგ საგარეჯოს ექნება გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ეკონომიკური სარგებელი.

იმის შესახებ, თუ კერძოდ რა გაკეთდა და რა გაკეთდება ამ კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში, გვესაუბრება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲑᲠᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.***

– ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, – ***აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში,*** – არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა მიიღოს, რაც შეიძლება მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. უზრუნველყოს სახელმწიფოს პროგრესის და მისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, საგარეჯოში, როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის, 2020 წელს დაიწყო მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა, რომელიც ფინანსდება, როგორც აგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე საგრანტო თანხით. პროექტის საშუალებით მოხდება უკვე არსებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფეროს გაფართოება. გაიზრდება აქაური ქალბატონების ფუნქცია და როლი-ტრადიციული ქართული კერძებისა და რეწვის ნიმუშების პრეზენტაციისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტებისა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს, სოციალურ სივრცეში შეიქმნა ოფიციალური გვერდი-Tourism/Sagarejo, სადაც მუდმივად თავსდება სიახლეები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ტურისტულ ობიექტებზე და ოფიციალური წყაროებიდან მიღებული საინფორმაციო მასალები ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

ყოველი კვარტლის ბოლოს, ჩვენი განყოფილების თანამშრომელთა მიერ ხდება ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შემდეგ განთავსება ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

გასულ წელს, DMO „ვიზით კახეთის“ მიერ მომზადდა კახეთის ღვინის გზის საინფორმაციო რუკა, რომელიც დახმარებას გაუწევს, როგორც ადგილობრივი ღვინის ტურიზმით დაინტერესებულ პირებს, ასევე ინფორმაციას მიაწვდის უცხოელ ტურისტებს კახეთში არსებული ღვინის საწარმოებისა და მარნების შესახებ. აღნიშნულ რუკაზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საწარმოსა და ღვინის მარნის შესახებ განთავსდა ინფორმაცია.

აქტიურად ვახორციელებთ ტურიზმის საკითხებზე ოფიციალურად შემოსულ წერილებზე შესაბამისი პასუხის მომზადებას. პერიოდულად ხდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების შემოთავაზება და შესაბამისად ვუზრუნველყოფთ დასწრებას.

იმავე 2020 წლის 24 სექტემბერს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენელი - ვიტოლდ სარტორიუსი საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ეწვია, რათა ეხილა როგორ მიმდინარეობს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (სრიგპ) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის განხორციელების პროცესი.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, პოლონეთის ქალაქ ტარნობზრეგთან თანამშრომლობის შესახებ დაგეგმილი ვიზიტი სამწუხაროდ, ვერ შედგა არსებული პანდემიის პირობების გამო. ამ ეტაპზე, ხელის შემშლელი ფაქტორებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მიმართულებით მუშაობა შეფერხებულია.

აღნიშნულმა გლობალურმა პრობლემამ ტურიზმის მიმართულებით, განყოფილების პროგრამით განსაზღვრული მიზნები და გეგმებიც შეცვალა, თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ვირუსის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ვიზიტორების უსაფრთხოებისთვის დაიწყო აქტიური თანამშრომლობა სასტუმროებთან და კვების ობიექტებთან. საგარეჯოს მუნიციპლიტეტის მერიაში შეიქმნა შრომის ისპექტირების მობილური ჯგუფი (ტურიზმის განყოფილების უფროსის ხელმძღვანელობით), რომელიც ყველა რეგისტრირებულ ტურისტულ ობიექტს აწვდიდა შესაბამის რეკომენდაციებს ჯანდაცვისა და მთავრობის მითითებების მიხედვით, ასევე, ახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს.

– თქვენ საუბარში ადგილობრივი ბიზნესისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა ახსენეთ. რა უჯდება სახელმ-

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ისინი გმირები არიან

ზაფხულის ხანძრებთან ბრძოლაში

***ზაფხული** ყველაზე ხანძარსაშიში დროა. სულ მცირეოდენი ნაპერწკალიც კმარა, რომ მზისაგან დამწვარ-გაფიცხებულ ბალახს, ნარგაობას, თუ ნაგებობებს ცეცხლი გაუჩნდეს და გამოუსწორებელი ზარალი მიაყენოს ადამიანებს. ამ საქმეში კი ყოველთვის ადამიანი და მისი უყურადღებობა თუ დაუდევრობაა მთავარი მიზეზთაგანი. ამიტომ, ყოველთვის ხდება ხანძრები და გამონაკლისი არც წლევანდელი წელია. საგარეჯოს სახანძრო სამაშველო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. სულ წლის დაწყებიდან განვლილ პერიოდში (15 სექტემბრის მდგომარეობით) ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა 130-ზე მეტ ასეთ შემთხვევას. აქედან, თუ 12 მაისისათვის, ანუ მეხანძრეთა ტრადიციული დღისთვის აღრიცხული იყო ხანძრის 90 შემთხვევა, მას შემდეგ ამ ფაქტების 40-ზე მეტი შემთხვევითაა გაზრდილი. აქედან, უმეტესობა ხანძრებისა წაკიდების ხასიათისაა, თუმცა დაფიქსირდა საცხოვრებელი ფართის დაწვის რამდენიმე შემთხვევა.*

აქედან, ზაფხულის პირველი ასეთი შემთხვევა 26 აგვისტოს ლამბალოში დაფიქსირდა, სადაც დაიწვა მოქალაქე ზახიდ ჯეირანოვის დამხმარე სათავსო, სულ რაღაც 5-6 დღეში კი, კერძოდ, 1 სექტემბერს იმავე ლამბალოში დაიწვა ჯეირანოვის მეზობელი ბახრამ ისაევის „ბელეტაჟზე“ აშენებული საცხოვრებელი სახლი, სულ 150 მ² ფართობი, ორივე შემთხვევაში საგარეჯოელმა მეხანძრე მაშველებმა, გზის სიშორის გამო ვერ შეძლეს შემთხვევათა ადგილზე დროულად მიღწევა და სათანადო სამაშველო სამუშაოების განხორციელება,

– გაუმართლა საგარეჯოელ ეთერ ჟ-შვილს, რომელმაც 28 აგვისტოს დატოვა ჩართული მადუღარა, თვითონ კი გულმავიწყობისა თუ სხვა მიზეზების გამო, სხვა საქმეს მიუტრიალდა. – ეთერ ჟ-შვილის საცხოვრებელი ბინა ჩვენი სამსახურიდან არც თუ ისე მოშორებითაა – ***გვიყვება მეხანძრე-მაშველი ზაქარია სადუნაშვილი,*** – ამიტომ იქ მისაღწევად დიდი დრო არც დაგვჭირვებია. როცა ბინაში შევედით, იგი მთლად შავ კვამლში იყო გახვეული, რომელიც გადახურებული მადუღარას ჩამომწვარ სადენს ასდიოდა. საბედნიეროდ, სახლის პატრონმა დროულად მოასწრო ჩვენი ინფორმირება და მხოლოდ ამ მადუღარას დაწვით გადავრჩით, თორემ ვინ იცის რითი დამთავრდებოდა მისი ეს უყურადღებობა.

მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა და აკრძალვებისა, ხანძრების გარეშე არ ჩაუვლია ამ მარიამობასაც. 28-29 აგვისტოს სასაფლაოების ხანძრები გვქონდა ნინოწმინდაში, კაკაბეთში, კუპატაძეანთ უბნის სასაფლაოზე, საგარეჯოში, ფანოზიანთ გორაზე... გახშირდა მინდვრების დაწვა – ცეცხლის წაკიდების ფაქტებიც. აქედან, ყველაზე მასშტაბური ხანძარი გვქონდა ირანელი ინვესტორის სავარგულში, სადაც თითქმის 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზე დაიწვა მომკილი ყანა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზით ვერ შევძელით ამ ხანძარზე დროული გასვლა და მისი ჩაქრობა კაჭრეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკებს მოუწიათ. თავის მხრივ 29 აგვისტოს ახლა ჩვენ დავეხმარეთ კაჭრეთელებს მინდვრებში გაჩენილი ხანძრების ჩაქრობაში. ერთი ხანძარი გვქონდა ხაშმში, ასევე სხვა სოფლებშიც, სადაც დროული შეტყობინების შედეგად დროულად გავდიოდით შემთხვევის ადგილზე, ვახდენდით ხანძრების განეიტრალებას.

ზაფხულის პერიოდში არც ავტოსაგზაო შემთხვევებით და სხვა სამაშველო სამუშაოებით ვყოფილვართ დასვენებულნი. 26 აგვისტოს, ბადიაურში, ერთმანეთს შეეჯახნენ ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეები და ჩვენს მუშაკებს მოგვიხდა დაზიანებული ავტომანქანებიდან დაშავებული მგზავრების გამოყვანა და გადარჩენა. ვერხვიანში ტალახიდან ამოვათრიეთ შიგ ჩაფლული მოქალაქე ფხალაძის ავტომანქანა. კაკაბეთში მოგვიხდა ერთმანეთს შეჯახებული მერსედესიდან და „ფორდტრანზიტიდან“ მგზავრების გამოყვანა და ა.შ. ასეთი ფაქტები ბევრია და ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

– ყოველ საქმეს თან ხშირად კურიოზებიც ახლავს, თქვენ თუ გადაგხდენიათ მსგავსი ამბავი ამ ზაფხულს?

– კი, როგორ არა. ჩვენთან შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისიდან კახეთისკენ ავტომანქანით მოძრავი მოქალაქე კონტაქტზე არ გამოდისო და ითხოვდნენ დახმარებას.

ჩვენი მუშაკები სიგნალის მიღებისთანავე გავიდნენ ამ ფაქტის გადასამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ მძღოლს მანაქანა გზის პირას გაეჩერებინა და ეძინა. მეხანძრემაშველებს ისდა დარჩენოდათ, ჩაძინებული მძღოლი გაეღვიძებინათ, რომ ოჯახს დაკავშირებოდა. თავის მხრივ გაღვიძებულმა მძღოლმა თვალები მოიფშვნიტა, მადლობა გადაგვიხადა ამ სამსახურისათვის, დაქოქა მანქანა და გზას გაუდგა. ერთი შეხედვით, ეს თითქოს სასაცილო ამბავია, მაგრამ ხომ შეიძლება ამ დროს სხვა უფრო ძნელი შემთხვევა მომხდარიყო და იქ უფრო საჭირო ყოფილიყო ჩვენი ყოფნა. რას ვიზამთ, ასეთებიც ხდება ხოლმე და მათ შორის ცრუ გამოძახებებიც, თუმცა ჩვენი მოვალეობაა, უყურადღებოდ და რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ არც ერთი შემოსული ზარი და ზოგჯერ ასეთ უმნიშვნელო ფაქტებზედაც გვიწევს თავის შეწუხება.

გიორგი დაბახიშვილი.

P.S. ***ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ 14 სექტემბერს ხანძარი გაუჩნდა ს. პატარძეულის მინდვრებს, სადაც დაიწვა რამოდენიმე ჰექტარი სავარგული. იმავე დღეს თოხლიაურში ერთმანეთს შეჯახებული ავტომანქანების ავტოავარიის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ორი ახალგაზრდა, მძღოლი და მეორე მანქანის მგზავრები დაშავდნენ.***

მართლმადიდებლობა

26 სექტემბერს აღინიშნა ქეთევან წამებულის ხსენების დღე

მერაბ კოსტავა

ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი

ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან,
როს გული მკერდში არ ეტევა,
და სისავსისაგან სრულქმნილი,
იფრქვევა მეწამულ დველფვებად
ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან.
მზე ჩავა ლომისფერ ქედებთან,
დასტოვებს ანთებულ ფერვალებს,
შორეულ ოცნებად ედება
დათალხულ, დაბინდულ მწვერვალებს,
წმინდანთა გულივით ანთია,
წმინდანთა სისხლივით ელვარებს.

საღამო იისფრად ბერდება,
კაბადონს წარსტაცებს ჩირაღდნებს,
ბაგეებს მოსკდებათ ვედრება,
როდესაც ვარდისფრად ინათებს

და მოდის ის სულისკვეთება
დედებს რომ მიჰქონდათ აკვნებთან,
ეს გული იდუმალ აკვნესდა,
შენ გიხმობს ქართველთა აგნესავ,
იბერთა სასწაულქმედებავ,
წმიდაო მნათობო ქეთავან.

ნეტართა პარნასში რჩეულო,
ანგელოსთ იერით მღიმარევ,
სიწმინდეე შენ მინანქრეულო,
შენ ჩვენთა ცრემლების მდინარევ.

ჯვართამაღლება

ჯვართამაღლება - პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღეს (14/27 სექტემბერი) იდღესასწაულება IV საუკუნეში წმ. ელენეს (იმპერატორ კონსტანტინეს დედის) მიერ ჯვრის პოვნა (იგულისხმება ჯვარი, რომელზედაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე) და VII საუკუნეში იმპერატორ ირაკლის მიერ ჯვრის შემდგომი „გამოხსნა სპარსელთა ტყვეობიდან“, რის შემდეგაც იგი აღიმართა იერუსალიმის აღდგომის ტაძარში. ამ დროიდან მოყოლებული, „მსოფლიო ჯვართამაღლება“ აღინიშნება ქრისტიანული სამყაროს ყველა ეკლესიაში.

ეს დღე ბიზანტიაში ერთგვარ სახელმწიფო დღესასწაულადაც, ხოლო ჯვარი – იმპერიის ემბლემად იქცა და მას ყველა სახელმწიფო დაწესებულების კედელზე და ოფიციალურ ტანისამოსზეც გამოსახავდნენ. დღესასწაულის დღეს მას ეპისკოპოსები და მღვდლები საჯაროდ აღმართავდნენ ხოლმე. ისინი ჯვრით სამყაროს ოთხივე მხარეს აკურთხებდნენ, ხოლო ხალხი ამ დროს „უფალო შემიწყალეს“ გალობდა. ეს ჩვეულება დღესაც სრულდება ეკლესიაში საზეიმო მწუხრის მსახურების დასასრულს, ცისკრის დიდების შემდეგ, როცა ჯვარს საზეიმოდ გამოაბრძანებენ და აღმართავენ.

დღესასწაულის ტროპარი, რომელიც, უნდა ითქვას, რომ ბიზანტიისა და რუსეთის იმპერიების ჰიმნი იყო და ყველა საზეიმო ცერემონიალზე იგალობებოდა, მიმართულია უფლისადმი ლოცვით ადამიანთა ხსნისაკენ, ომში გამარჯვების მიმადლებისა და ჯვრით სახელმწიფოს დაცვისაკენ. ჩვენს დროში, როგორც ტროპარს, ასევე დღესასწაულის სხვა საგალობლებს, სულიერი მნიშვნელობა მიეცათ: „წინაადმდგომი“ გაიგება, როგორც სულიერად უსჯულო და ცოდვილი, ეშმაკის მიმდევრები, ხოლო სიტყვები „მართლმადიდებელი ქრისტიანები“ ცვლის ყოფილ მონარქთა სახელებს.

„აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯუარითა ბარბაროზთა ზედა ღმრთივ დაცულსა ერსა ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რაითა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა“ (ტროპარი).

„რომელი ამაღლდი ნებსით ჯუარსა ზედა, მოსახელესა შენსა ახალსა მოქალაქობასა, წყალობანი შენნი მოგუანიჭენ, ქრისტე ღმერთო, ახარე ძალითა შენითა ღმრთივ და ცულსა ერსა ჩუენსა და ძლევა მომადლემას მბრძოლთა მიმართ, რომელსა თანა შემწედ აქუს შენი საჭურველი მშვდობისა , უძლეველი საძლეველი, ჯუარი შენი, ყოვლად ძლიერი“ (კონდაკი).

თუმცა, ჯვართამაღლება წარმოიშვა როგორც „პოლიტიკური“ დღესასწაული, მაგრამ დღეს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ჩვენთვის რჩება მარხვისა და ლოცვის დღედ, დღედ, როცა ჩვენ ვიხსენებთ, რომ ჯვარი არის ერთადერთი სიმბოლო, ღირსი ჩვენი ულაპარაკო ერთგულებისა, და რომ ჩვენი ხსნა დამოკიდებულია არა რომელიმე ჩვენს მიწიერ გამარჯვებაზე, არამედ ქრისტეს ჯვარცმისა და ქრისტესთან ჩვენი თანაჯვარცმის ერთადერთ ჭეშმარიტ და წარუვალ გამარჯვებაზე. და როცა ჩვენ აღვმართავთ ჯვარს და მუხლს ვიდრეკთ მის წინაშე თაყვანისცემითა და განდიდებით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვეკუთვნით სასუფეველს, რომელიც არ არის „ამა სოფლისაგან“, და რომ ჩვენი ჭეშმარიტი და მარადიული „მოქალაქეობა“, წმინდანებთან ერთად, „უფლის ქალაქშია“.

დღესასწაულზე ძველი აღთქმის პირველი საკითხავი გვესაუბრება „ძელზე“, რომელიც „მწარე“ წყალს „მტკნარ“ წყლად გადააქცევს და რომელიც „ჯვრის ძელის“ სიმბოლოა (გამოსვლათა, 15:22-25). მეორე საკითხავი გვახსენებს, რომ უფალი სჯის და ასწორებს მათ, ვინც უყვარს და რომ ღვთის სიბრძნე „ხე ცხორებისა არს ყოველთა, რომელთა შეიწყნარონ იგი და რომელნი შევედრებულ არიან მას, ვითარცა უფლისა მიმართ, უცთომელ“ (იგავნი, 3:11-18). ეს სიტყვები, ასევე, მიგვანიშნებს ჯვარზე, რომელიც, როგორც ამ დღის სამოციქულო საკითხავი აცხადებს, მოწოდებულთათვის არის ძალა და სიბრძნე ღვთისა (1 კორინთ. 1:18-25). ძველი აღთქმის მესამე საკითხავი ესაიას წინასწარმეტყველებიდანაა, რომელიც გვესაუბრება „საუფლო ქალაქზე“, სადაც იუდეველები და წარმართები ერთად იცხოვრებენ და უფლის „ფერხთა ადგილზე“ მოვლენ და იცნობენ, რომ „მე ვარ უფალი მაცხოვნებელი შენი და გამომხსნელი შენი, ღმერთი ისრაილისა“ (ესაია, 60:11-16).

„ჯვარსა შენსა თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“ (ტროპარი).

ესაა მთავარი საგალობელი ჯვართამაღლებისა, რომელიც რვა დღე გრძელდება. იგი მრავალგზის მეორდება ღვთისმსახურებაში. ლიტურგიაზე ეს საგალობელი ცვლის „სამწმიდაოს“. ანტიფონები იცლება ფსალმუნებიდან შესაბამისი მუხლებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს ქრისტეს ჯვარცმაზე (ფსალმ. 22, 74, 99). ცისკარზე, სახარების საკითხავში ქრისტე ამბობს, რომ როცა ჯვარზე ამაღლდება, იგი ყველას თავისთან „მიიზიდავს“ (იოანე, 12:28-36). ლიტურგიაზე იოანეს სახარებიდანვე ვრცელი საკითხავი მოგვითხრობს უფლის ვნებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ჯვართამაღლებაზე ქრისტიანები, თითქოს, ხელახლა უძღვნიან თავს უფალს და აღუთქვამენ სრულყოფილ ერთგულებას, მუხლს იყრიან მისი ჯვარცმისა და ცხოველმყოფელი ჯვრის წინაშე, – ასეთია ეკლესიაში ამ დღის მარხვისა და სინანულის დღევანდელი მნიშვნელობა.

დასასრული

მოსახლეობის ეკონომიკურად გაძლიერებისათვის

მუნიციპალიტეტში ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის პროექტები ხორციელდება

წიფო ბიუჯეტს ეს პროექტი და რა მიზნებს ისახავს იგი?

– საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. პროექტის ღირებულება 1260 000 ლარია, რომელიც როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე საგრანტო თანხით არის დაფინანსებული. 1 664 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთით სოფლის 80 ამდე ოჯახი ისრგებლებს და ხელს შეუწყობს ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას.

პროექტი გულისხმობს 1664 მ-ზე ა/ბეტონის საფარისა და ქვაფნილის მოწყობას, რაც გაზრდის ობიექტთან გადაადგილების ხელმისაწვდომობას, წაახალისებს ადგილობრივ მოსახლეობას, - განავითარონ ადგილობრივი ბიზნესი, რაც განაპირობებს მოსახლეობის ზოგად ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისთავად შემცირდება მიგრაციის არსებული სტატისტიკა.

მანავის ციხის სახით, მუნიციპალიტეტსა და აღნიშნულ სოფელში არსებობს რესურსი სტრატეგიული ობიექტის სახით, რომელიც გამოუყენებელი რჩებოდა გზის არახელსაყრელი პირობების გამო; ამასთან, ხელი ეშლება ადგილობივი ბიზნესის განვითარებას.

მოგეხსენებათ, მანავი ცნობილია ჩურჩხელების სარეალიზაციო სივრცით, რაც მოწმობს 76 მცირე მეწარმის არსებობა, რომლებიც იძულებული არიან გზის პირას განათავსონ თავიანთი პროდუქტი და სოფლის ნობათი, რაზეც გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გზის მტვერსა და ავტომობილების გამონაბოლქვით გამოიხატება. პრობლემის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალებაა გზის დაგება, შესაბამისი ეკოლოგიური და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოვაჭრეებისთვის, რაც განავითარებს ადგილობრივ ბიზნესს და შიდა და გარე ტურიზმს.

პროექტის საბოლოო სახე ითვალისწინებს მანავის ციხემდე არსებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრის მოწყობას, სამხატვრო-სახელოსნოს, ხელნაკეთი ნივთებისა და რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვას, შემაღლებულ ადგილას ამფი-თეატრის მოწყობას, ტურისტული ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფის განთავსებას და სხვა.

– რას გვეტყოდით ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობის შესახებ?

– პროექტი - „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ - ქ. საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობა მოიცავს ქ. საგარეჯოში ახალი რეკრეაციული გასართობი სივრცის (სკვერი) მოწყობას 1700 მ2 ფართობზე, რომელიც ითვალისწინებს: მასთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის, ბავშვებისათვის გასართობი ატრაქციონების, დასასვენებელი სკამების, სასმელი წყლის ფანტანის, კალათბურთის მოედნისა და ტრენაჟორების მოწყობას. ტერიტორია გამწვანდება და უზრუნველყოფილი იქნება სველი წერტილებით, დამონტაჟდება დეკორატიული განათებები. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მორგებული იქნება შშმ პირების საჭიროებებზე, ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მოეწყობა პანდუსები.

აღნიშნულ სივრცეში მოეწყობა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი, მცირე და საშუალო ბიზნესების სტიმულირების ხელისშემწყობი ინფრასტრუქტურა, შესაძლებელი გახდება კულტურული და სპორტული აქტივობების ჩატარება, რაც საინტერესოს გახდის ქალაქს და ხელს შეუწყობს რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ურბანულ სივრცეში რეკრეაციული სივრცის შექმნა პირდაპირპროპორციულია ადამიანების კეთილდღეობასთან. თანამედროვე ქალაქისათვის მნიშვნეოვანია ისეთი საჯარო რეკრეაციული სივრცეების მომრავლება, რომლებიც ნებისმიერი ასაკისა და საჭიროების ადამიანისათვის იქნება განკუთვნილი. საჭიროა მათი აღჭურვა და ისეთ საჯარო სივრცედ ჩამოყალიბება, რომლებიც გახდება მოქალაქეების შეხვედრების, რელაქსაციისა და იდეების მომოცვლის ადგილი. საზოგადოებრივად აქტიური ზონის არსებობა კი შექმნის ბიზნეს-სუბიეტებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.

ქალაქ საგარეჯოში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობა იგეგმება. ამ პროექტზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ საგარეჯოში, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე, მრავალფუნქციური სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი 2021 წლის 18 აგვისტოს გამოაცხადა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ინიციატივით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია „სპექტრის“ მხარდაჭერით, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ბიზნესფორუმი გაიმართა.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები, მოქმედი და პოტენციური ბიზნეს სუბიექტები ესწრებოდნენ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მომხსენებლებმა თავიანთი ხედვების და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია დამსწრეებს გაუზიარეს.

პროექტის “მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის (MUSQAT)” ფარგლებში (პროექტი ხორციელდება ა(ა)იპ კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრს და ევროკავშირს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ქვეშ), შეხვედრის ბოლოს, საჯარო-კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც სამომავლოდ ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის გრძელვადიან სტრატეგიას ითვალისწინებს.

ამავე მიზნებს ემსახურებოდა ჩვენს მიერ ჩატარებული ფოტო-ვიდეო კონკურსი - „აღმოაჩინე საგარეჯო“. მისი მიზანი იყო: ადგილობრივი, ტურისტულად სტრატეგიული ლოკაციების აღმოჩენა და მათი პოპულარიზაციისა და საინფორმაციო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ პლატფორმასა და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელება. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული ქალაქ საგარეჯოს ბრენდირების კუთხითაც, რისთვისაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „ადამიანის განვითარების და კულტურის საერთაშორისო სკოლა“ -ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მხარეები მემორანდუმის საფუძველზე ითანამშრომლებენ საერთო მიზნების მისაღწევად, რათა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოხდეს მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერის შექმნა/პოპულარიზაცია. ახალგაზრდების გადამზადება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა სოფელ კაკაბეთში არსებულ სკოლის ბაზაზე განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებსა თუ ტრენინგებში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება და კულტურის პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება.

მხარეებმა ასევე განიხილეს ქალაქ საგარეჯოს პოზიციონირება საერთაშორისო დონეზე და ბრენდირება, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას და ახლგაზრდული აქტივის ჩართულობას კულტურული, არაფორმალური განათლებისა და ხელოვნების მიმართულებებით.

– როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას და პოპულარიზაციის საქმეს სათანადო საინფორმაციო ბაზის არსებობა წარმოადგენს. თუ გვაქვს მუნიციპალიტეტში ასეთი რამ, ან თუ იგეგმება მისი მომზადება?

– ამ საკითხების შესახებ უკვე მიმდინარეობს სათანადო მუშაობა და საჭიროდ მიგვაჩნია Visit Kakhet-ი 2021 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების მიზნით, 4 ლოკაციაზე დავით-გარეჯი, ნინოწმინდა, კაწარეთი, მანავის ციხე - მომზადდეს ვირტუალური ტურის 3 განზომილებიანი ფილმი, სადაც ანიმაციური გიდი მოყვება მცირე ისტორიას კონკრეტული ლოკაციების შესახებ. გარდა ამისა, დატანილი იქნას მითითებული ლოკაციები და მონიშვნები Google-ის რუკაზე.

– თქვენგან აღნიშნული ისტორიულ-რელიგიური დანიშნულების ძეგლების გარდა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ კერას საგარეჯოს საკურორტო ადგილი „კოდა“ წარმოადგენს, რის შესახებაც ჩვენ საუბარი გვქონდა ჩვენი გაზეთის გასული წლის ნომერში ქ. საგარეჯოს მერთან იოსებ მარხვაშვილთან., როგორია ამ საკითხზე თქვენი ხედვა და მოსაზრებები?

– ამ ეტაპზე კოდა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია სამკურნალო ფაქტორები (განსაკუთრებული კლიმატი). მას არ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნების გამოსაყენებლად. ჩვენი მიზანია კოდის მთის ბუნებრივი რესურსების გამოყენებით უნიკალური ავთენტური გამოცდილების შექმნა და მისი პერსპექტივების განსაზღვრა. კოდის მთა, როგორც კურორტი, მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს შიდა ტურიზმის სტიმულირებას.

იმისთვის, რომ კოდა ჩამოყალიბდეს როგორც კურორტი, აუცილებელია ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა, ბუნებრივი გაზით მომარაგება, გზის საფარის მოწყობა (15 კმ ქ. საგარეჯოდან). ამ ეტაპზე არ არის გამართული წყალმომარაგების სისტემა.

რაც შეეხება ტურისტულ ინფრასტრუქტურას, შესაძლოა მოეწყოს საფეხმავლო ბილიკები, განთავსდეს მიმანიშნებლები, გადმოსახედი მოაჯირები, ეკო ტურიზმის განვითრების მიმართულებით მოეწყოს კემპინგი და საპიკნიკე ადგილები. ასევე, შესაძლებელია თავგადასავლების მოყვარულები დაკავდნენ საცხენოსნო ტურიზმით. ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით კოდის მთა იძლევა საშუალებას განთავსდეს Zip-Line , გაჭიმულ ფოლადის კაბელზე თავისუფლად მოძრავი როლერი, რომლითაც შესაძლებელია ერთი პუნქტიდან, მეორე პუნქტამდე დაშვება. სამედიცინო ზონირების გათვალისწინებით მიზანშეწონილია გამაჯანსაღებელი ობიექტების, სასტუმროების, კოტეჯებისა და დასასვენებლი სახლების განთავსება.

ჩვენი მიზანია კოდაზე შენარჩუნდეს ეკოლოგიურად სუფთა გარემო, რომელიც არ დაბინძურდება მანქანის გამონაბოლქვით და სხვა მავნე ფაქტორებით. ამისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პროექტი იქნება საბაგირო გზის მოწყობა ქალაქ საგარეჯოდან კოდამდე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წლისთვის იგეგმება „ცივ-კოდას“ მიმდებარე სატყეო ფართობების დაცული ტერიტორიების სიაში შეყვანა და ამავე სახელწოდების ახალი აღკვეთილის შექმნა.

– რა სახის ტურისტული პროექტებია დაგეგმილი მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლისათვის?

– მანავის ციხესთან ახალი ტურისტული ბილიკის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც მოიცავს ამ ციხეს და მის მიმდებარე ღირშესანიშნაობებს. იგეგმება ბილიკის მარკირება, ბილიკზე მაქსიმუმ 6 საინტერპრეტაციო დაფის მოწყობა, რომლებზედაც დატანებული იქნება მოცემული ტერიტორიის რუკა და სხვა საჭირო ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე, ამ ბილიკისთვის მომზადდება 3 განზომილებიანი ფილმი, სადაც ანიმაციური გიდი მოყვება პატარა ისტორიას ამ კონკრეტულ ბილიკზე არსებული ღირშესანიშნაობების შესახებ და ის განთავსდება ორგანიზაციის ვებ გვერდზე. ასევე, დამზადდება ბროშურები და დაიდება საინფორმაციო ცენტრებში.

სოფელ მარიამჯვართან და იქ არსებულ მარიამჯვარის ნაკრძალთან მისასვლელი გზის მოწყობა ეკოტურიზმის განვითარების მიზნით უკვე განხორციელდა, სოფლის ცენტრალური გზის 4,500 მ² მოასფალტების სამუშაოები, რეინჯერთა სახლის მიმდებარე მინდორზე კემპინკის მოწყობა და ღია და



დახურული კვების ობიექტი, მარიამჯვრის ნაკრძალში ეკო-საგანმანათლებლო ბილიკის მოწყობა მოსწავლეებისა და მეცნიერთანამშრომლებისთვის კვლევითი სამუშაოების განხორციელება, საინფორმაციო დაფების მოწყობა და ხმოვანი გიდი. ზიპლაინი, ხის დაკიდული ბილიკები, საცოცი კედელი, მოსასვენებელი და საკონფერენციო სივრცეები, სამეცნიერო ექსპედიციებისთვის დასაყოვნებელი ქოხი, „ბაჩიას“ ტბის, როგორც ერთ-ერთი იშვიათი ლოკაციის პოპულარიზაცია, 2000 კვ. მ ტბის ფართობზე რამდენიმე ნავის განთავსება. სოფლის მოსახლეობის საერთო სოციალური ფონის გაუმჯობესების, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საოჯახო სასტუმროების და კვების ობიექტების მოწყობა.

– მლაშე ტბების მიმდებარე ტერიტორიის, როგორც ერთ-ერთი ტურისტულად სტრატეგიული ლოკაციის პოპულარიზაცია.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოწყობილია, შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება საინფორმაციო დაფები-ტბის ბუნებრივ თვისებებთან დაკავშირებით, ბიომრავალფეროვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება ვიზიტორთათვის. მოსასვენებელი-დახურული ტიპის სკვერი, საიდანაც ტბის ხედები გადაიშლება;

სოფელ ხაშმში, კაწარეთის სამებასთან ასასვლელი 6 კმ-იანი გზის მოასფალტება, ტურისტული ბილიკების მოწყობა საინფორმაციო დაფებით, გადასახედის მოწყობა; ხაშმის საფერავის, როგორც განსაკუთრებული ზონის ყურძნის ჯიშის სტატუსის პოპულარიზაცია -სადეგუსტაციო მარანი-სივრცის მოწყობა; (ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიზნით).

აქვე მინდა დაინტერესებულ მკითხველს გავაცნოთ მედიაში გავრცელებული სიუჟეტების შესახებ. კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის მქონე ლოკაციებბზე, ცნობადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი:

მანავის ციხის გზა; დავით-გარეჯის მონასტრის გზა; სოფელ უდაბნოს პოტენციალი, ტრადიციები და სვანების ცხოვრება... სოფელი კოჭბანში -კვირაცხოვლის ტაძარი; „აჭარა ჯგუფის“ პროექტი და აგროტურიზმი საგარეჯოში; მცირე ბიზნესის განვითარება და საოჯახო სასტუმროსოფელ მანავში ნატო ფოცხვერაშვილის -„ჩურჩხელები“; უჯარმის ციხე; „მარუსას სახლი“ კახეთის გასტრონომიული ტური საგარეჯო-ხაშმში; პატარა ჩაილური-ბესო პაპას მარანი; ჩაილურისა და მანავის ციხეების ისტორია;

(სიუჟეტები განთავსებულია Tourism/sagarejo ოფიციალურ გვერდზე)

დაწყებულია საერთაშორისო პროექტები: Local product branding system in rural areas ადგილობრივი პროდუქციის ბრენდირების სისტემა სოფლად Experience form regions of the Association of Regional Brands

ჩეხეთის რეგიონული ბრენდების ასოციაციაში შემავალი რეგიონების გამოცდილება Establishing the regional brand – step by step

ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტებიდან კახეთში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროექტი „საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის“ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ვიზიტორებისთვის, ტურისტულად უფრო ხელმისაწვდომს გახდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს, როგორიც არის დავით-გარეჯის მონასტერი და სოფელი უდაბნო.

სპორტი

6 აგვისტოს განახლდა საქართველოს ჩემპიონატის „ეროვნული ლიგა 2“-ის გათამაშება ფეხბურთში, სადაც „გარეჯი-1960“ ასპარეზობს და დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ წარმატებულადაც. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კარგა ხანია გარეჯი სტაბილურად იკავებს მეოთხე საფეხურს და სულ ერთი ქულით ჩამორჩება მესამე-ადგილოსან მარტვილის „მერანს“. მესამე ადგილი კი პლეი ოფში თამაშს და შესაბამისად კრისტალბეთ-ეროვნული ლიგის საგზურისათვის ბრძოლის შანსს იძლევა.

უნდა ითქვას, რომ გათამაშების განახლებას გარეჯელები არცთუ კარგი განწყობით შეხვდნენ – მათ დიდი ანგარიშით (0:3) წააგეს ზუგდიდში ადგილობრივ „დინამოსთან“. ვერც შემდეგ მატჩში საკუთარ მოედანზე ითამაშეს წარმატებულად – ფრეს დასჯერდნენ „შევარდენი 1906“-თან (1:1).

ამის შემდეგ, მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატში გამოცხადდა იძულებითი არდადეგები კოვიდ პანდემიის გამო და მხოლოდ 10 სექტემბერს განახლდა გათამაშება. გარეჯელებმა სტუმრად ითამაშეს გათამაშების ლიდერ „სიონთან“ და დამარცხდნენ 0:2.

ფეხბურთი

„გარეჯი-1960“ ლიდერთა შორის

წარუმატებელი მატჩების სერია გარეჯელებმა 15 სექტემბერს შეწყვიტეს, როდესაც გლდანის საფეხბურთო ცენტრის სტადიონზე დაამარცხეს „ვიტ ჯორჯია“. ანგარიში მატჩის 22-ე წუთზე გახსნა გიორგი ხარებაშვილმა, გამოიყენა რა ვაჟა ქიქავას პასი. მართალია, თბილისელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს – ეს გიგა გულდედავამ გააკეთა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გიორგი ხარებაშვილმა კიდევ ერთხელ აიღო მასპინძლების კარი, დუბლი შეასრულა და გარეჯს 3 ქულა მოუტანა. საგოლე გადაცემის ავტორი გიორგი ხინთიბიძე იყო.

19 სექტემბერს კი გარეჯმა თავის უშუალო კონკურენტს, ამჟამად მესამე ადგილზე მყოფ მარტვილის „მერანს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. არადა, შეხვედრა მასპინძლებისათვის ცუდად დაიწყო – სტუმრების ლეგიონერმა შეიკნე სილამ 43-ე წუთზე დააწინაურა მარტვილელები. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ნიკოლოზ ნოზაძემ ანგარიში გაათანაბრა. 73-ე წუთზე კი ვაჟა ქიქავამ სტივენ ბერმუდესის პასით შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა და გარეჯი დააწინაურა. თუმცა, სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სულ რაღაც 4 წუთში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება – თავი ისევ შეიკნე სილამ გამოიჩინა. გარეჯელებმა მატჩის ბოლოს შტურმი მოაწყეს მეტოქის კართან და დამატებულ – 91-ე წუთზე გიორგი ხარებაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა მარტვილელების კარში. საგოლე პასი კი ნიკოლოზ ნოზაძემ მიითვალა.

23 სექტემბერს კი „გარეჯი-1960“ გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფ „ჩიხურას“ ესტუმრა საჩხერეში და 3:0 დაამარცხა.

ანგარიში შეხვედრის დაწყებიდან მე-15 წუთზე გიორგი ტყეშელაშვილმა გახსნა ნიკოლოზ ნოზაძის პასით. 50-ე წუთზე კი გიორგიმ დუბლი შეასრულა. საბოლოო წერტილი კი დამატებულ წუთზე გიორგი ხარებაშვილმა დასვა, როცა ფრანსისკო ბრავოს პასით მესამე უპასუხო გოლი გაიტანა საჩხერელების კარში.

ქულები დაკარგა გარეჯელთა მთავარმა მეტოქემ ამ გათამაშებაში მარტვილის „მერანმა“ – მან ფრედ დაამთავრა შეხვედრა თბილისში (1:1) „ვიტ ჯორჯიასთან“. ამ შეხვედრის შემდეგ გარეჯი 42 ქულით კვლავ მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება მარტვილის „მერანს“. გათამაშებას კი 59 ქულით ბოლნისის „სიონი“ ლიდერობს, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება „გაგრა“. 23 სექტემბერს ლიდერებიც ერთმანეთს ხვდებოდნენ და მათი შეხვედრაც 1:1 დასრულდა. ეს მატჩი იმითაც გამოირჩა, რომ შეხვედრის არბიტრმა ჩხუბის გამო ორივე გუნდიდან თითო ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან.

მორიგ შეხვედრას გარეჯელები შინ გამართავენ სწორედ ამ ერთ-ერთ ამ ლიდერთაგანთან – „გაგრასთან“.

ზ. აგულაშვილი

მედიცინა

covid-19 და ჩვენ

აშშ-ში მოღვაწე ექიმები ნანა გეგეჭკორი და ზურაბ გურული გვთავაზობენ რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება იმართოს კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტი სახლის პირობებში:

– კოვიდ ინფექციის სიმპტომების გამოვლინებისას, ან ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში კოვიდ ღიურების ფესები:

კოვიდ-19-ის სიმპტომები ძალიან მრავალფეროვანია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოვიდი შეიძლება დაიწყოს როგორც დამოუკიდებელი დაავადება, მისთვის დამახასიათებელი სიმპტომების კომპლექსით, ან უკვე არსებული ქრონიკული პრობლემების უეცარი გამწვავებით.

კოვიდ-19-ის ყველაზე ხშირად გამოხატული სიმპტომებია:

გემოვნების და ყნოსვის ნაწილობრივ დაქვეითება, სრული გაქრობა ან გაუკუღმართება (როცა ყველაფერს მხოლოდ ერთი სპეციფიკური სუნი ან გემო აქვს, მაგალითად, დამპალი ხორცის, დამწვარი რეზინის და ა.შ.). ეს ორი სიმპტომი ყველაზე სპეციფიკურია...

– ცხელება, შემცივნება, კანკალი;
– გონების დაბინდვა;
– მეხსიერების დაქვეითება;
– ძლიერი ზოგადი სისუსტე;
– თავბრუსხვევა, თავის ტკივილი;
– სხეულის კუნთების ტკივილი (ხშირად უმძიმესი;
– ყელის ტკივილი, წვის შეგრძნება, ან ყელში უცხო სხეულის შეგრძნება; ი) სურდო (დელტა ვარიანტს ეს განსაკუთრებით ახასიათებს);
– ხველება, სუნთქვის გაძნელება;
– გულისრევის შეგრძნება, ღებინება, დიარეა, მუცლის ტკივილი;

სიმპტომები შეიძლება სხვადასხვა ინტენსივობით იქნას გამოხატული დაავადების სხვადასხვა პერიოდში. არ არის აუცილებელი რამდენიმე ან ყველა სიმპტომის ერთდროული გამოვლინება.

კოვიდ-19-ზე ეჭვის მიტანა აუცილებელია ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში და თანდართული რომელიმე, თუნდაც ძალიან მსუბუქად გამოხატული სიმპტომის გამოვლინებისას.

თვითშეფასება კოვიდ-19-ის დიაგნოსტიკის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

პირველ რიგში გაითვალისწინეთ, რომ ყველა დაავადებული ტესტირებას, მკურნალობას ან ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებს.

თუ თქვენ არ განეკუთვნებით მაღალი რისკის ჯგუფს და დაავადება მსუბუქად მიმდინარეობს, სპეციალურ მკურნალობას არ საჭიროებთ; აუცილებელია იზოლაცია 12 დღით.

რას გულისხმობს იზოლაცია?

– თუ ოჯახის წევრებისგან განცალკევებულ საცხოვრებელში ვერ ახერხებთ გადასვლას, ეცადეთ მათთან (ერთდროულად) საერთო სივრცით არ ისარგებლოთ. თქვენი ოთახიდან გამოსვლისას ატარეთ ორმაგი ნიღაბი. თუ საშუალება გაქვთ ცალკე საცხოვრებელში იყოთ, ეს იდეალური გამოსავალი იქნება.

დაიწყეთ სიმპტომების ყოველდღიური აღწერა. აწარმოეთ კოვიდ დღიურები. კოვიდ დღიურები საშუალებას იძლევა ექიმმა მაღალი სიზუსტით შეაფასოს დაავადების დინამიკაში მიმდინარეობა და სწორად განსაზღვროს ის პერიოდები როცა საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება, მკურნალობის დაწყება ან ჰოსპიტალიზაცია.

კოვიდ ღიურებისათვის საჭირო ინფორმაციების ჩამონათვალი:

1. ჩაინიშნეთ პირველი სიმპტომების გამოვლინების და დადებითი ტესტის დადასტურების დღე;

2. ტემპერატურის მრუდი. დღეში რამდენჯერმე გაიზომეთ ტემპერატურა და მოინიშნეთ დღიურში დროსთან ერთად.

3. სისხლში ჟანგბადის შემცველობა (სატურაცია). სასურველია იქონიოთ პულსოქსიმეტრი. თუ ხელი არ მიგიწვდებათ არ იდარდოთ, ამის გარეშეც გახვალთ ფონს. სხვა მეთოდებით დააკვირდებით სასუნთქ სისტემას.

4. გულისცემის სიხშირე. პულსის გაზომვა, ერთი წუთის განმავლობაში.

ამას ასევე შეძლებთ პულსოქსიმეტრით ან ელექტრონული წნევის საზომი აპარატით.

5. სუნთქვის სიხშირე – ამ ინფორმაციის მიღებას ერთ წუთში გულმკერდის სუნთქვითი მოძრაობის აღრიცხვით, ან საკუთარ ჩასუნთქვის სიხშირეზე ყურადღებით დაკვირვებით შეძლებთ. თუ თავად ვერ ახერხებთ, დახმარება

შეიძლება მეგობრებს სთხოვოთ. საუკეთესო საშუალებაა ვიდეოზარი მეგობართან. საუბარი განყენებულ თემაზე საშუალებას მოგცემთ დაავადებულის ყურადღება სხვაგან მიმართოთ და მოსმენისას მის გულმკერდის მოძრაობებზე დაკვირვებით წუთში სუნთქვის სიხშირე აღრიცხოთ.

6. აღრიცხეთ ყოველი ახალი სიმპტომი.

ყურადღებით დააკვირდით თქვენს ზოგად მდგომარეობას. პირველ რიგში აუცილებელია ზედმიწევნით კარგად შეაფასოთ თქვენი საწყისი მდგომარეობა, რათა ათვლის წერტილიდან მინიმალური გადახრის დაფიქსირება ადვილად მოახერხოთ. თუ ხვდებით, რომ მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება დროულად მიმართეთ ექიმს.

რა იგულისხმება მდგომარეობის გაუარესებაში?

• უკიდურესი დაღლილობის შეგრძნება არ გაძლევთ მოძრაობის საშუალებას.

• შეუძლოთ ყოფნის გამო ვერ იღებთ საკმარისი რაოდენობით სითხეს და საკვებს.

• გონების დაბინდვა.

• მაღალი ტემპერატურა, რომელიც არ ემორჩილება მედიკამენტოზურ მკურნალობას.

• სუნთქვის გამოხატულად პროგრესირებადი უკმარისობა.

რესპირატორული უკმარისობა და სხვა სასიგნალო სიმპტომები:

– ჩვეულებრივი აქტივობები ხდება უჩვეულოდ შეუძლებელი და იწვევს ქოშინს; ანუ ქოშინი მინიმალური დატვირთვისას.

– სუნთქავთ უფრო ჩქარა და მძიმედ, ვიდრე ჩვეულებრივ (სუნთქვის სიხშირე მოზრდილებში ნორმაში არ აღემატება 18-20-ს წუთში). მოსვენებულ მდგომარეობაში სუნთქვის გახშირება წუთში 24 ჩასუნთქვაზე მეტი დაავადების პროგრესირების მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარი სიმპტომია.

– ჩვეულებრივი აქტივობა იწვევს თავბრუსხვევას

– ვისაც პულსოქსიმეტრზე მიგიწვდებათ ხელი, სატურაცია ნორმალურ მდგომარეობაში უნდა აღემატებოდეს 95%. თუ სატურაცია, ოთახის ჰაერზე, <92%-ზე (მუდმივად), ან <95%-ზე მაგრამ მას თან ახლავს სუნთქვის სიხშირის მყარი მომატება, პაციენტს ესაჭიროება ჰოსპიტალიზაცია. -> პროდუქტიული ხველა, იგულისხმება დიდი რაოდენობით ნახველი, ასეთ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს თანდართული ბაქტერიული პნევმონია. კოვიდს უმეტესად მშრალი ხველა ახასიათებს.

– ტაქიკარდია (აჩქარებული გულისცემა), ნორმალური გულისცემის სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 100-ს წუთში. მაღალი ტემპერატურის ფონზე გულის აჩქარება მოსალოდნელია, მაგრამ არ უნდა დარჩეს იგივე ტემპერატურის ნორმალურ ფარგლებში დაბრუნებისას.

– ტკივილი, უჩვეულო სიმძიმის ან მოჭერის შეგრძნება გულმკერდის არეში.

– საკმარისი რაოდენობით საკვებს და სითხეს ვერ ღებულობთ კუჭნაწლავის ტრაქტის სიმპტომების გამო.

– დიარეის და ღებინების ხშირი ეპიზოდები, რამაც შეიძლება სერიოზული დეჰიდრატაცია გამოიწვიოს.

– ქვემო კიდურების ასიმეტრიული შეშუპება (ასეთ შემთხვევაში ქვემო კიდურების ღრმა ვენების თრომბოზი უნდა გამოირიცხოს).

მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტები თავიდანვე მეტ ყურადღებას საჭიროებენ. პირველი სიმპტომების გამოვლენისთანავე, ასეთმა პაციენტებმა აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს. შესაძლებელია მათი ადრეული ჰოსპიტალიზაციაც მიზანშეწონილი იყოს, რადგან მაღალი რისკის პაციენტები რომელთაც დაავადების შედარებით მძიმე ფორმა აღენიშნებათ, დინამიკაში ყურადღებით დაკვირვებას საჭიროებენ.

რისკის კრიტერიუმები:

– ორსულობა;
– ასაკი (> 65 წელზე);
– მოხუცებულთა სახლის მაცხოვრებლები;
– იმუნოკომპრომეტირებული მდგომარეობები, როგორიცაა შიდსი, სტეროიდებით ქრონიკული თერაპია, თანდაყოლილი იმუნოდეფიციტები;
– ფილტვის ქრონიკული დაავადებები, როგორებიცაა: ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ასთმა, ფილტვის ფიბროზი, ცისტიკური ფიბროზი;
– კარდიოვასკულარული დაავადებები როგორიცაა, არტერიული ჰიპერტენზია, გულის უკმარისობა, კარდიომიოპათიები
– ონკოლოგიური დაავადებები;
– სიმსუქნე;
– დიაბეტი;
– თირკმლის ქრონიკული უკმარისობა;
– ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა;
– ტვინის სისხლძარღვთა დაავადებები;
– ნევროლოგიური დაავადებები, განსაკუთრებით დემენცია;
– სისხლის დაავადებები როგორიცაა ნამგლისებური ანემია;
– ორგანოგადანერგილი პაციენტები.

რისკის ჯგუფში ყოფნა არ ნიშნავს კოვიდ-19-ის რთული ფორმებით გარანტირებულ მიმდინარეობას. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ გართულებების რისკი უფრო მაღალია იმ ადამიანებთან შედარებით ვისაც არანაირი რისკის ფაქტორი არ აღენიშნებათ. არამიზნობრივი მკურნალობა და ჰოსპიტალიზაცია ამ ჯგუფში განსაკუთრებით საშიშია! სწორედ ამიტომ, აუცილებელია მათი მდგომარეობის დეტალური აღწერა და კონტროლი.

კოვიდ-19-ის არამედიკამენტოზური მკურნალობის პრინციპები.

უპირველესი ოქროს წესია საზოგადოებისგან, ოჯახისგან, საყვარელი ადამიანებისგან იზოლაცია. იზოლაციის წესების დარღვევა კლავს.

იზოლაციაში უსაფრთხოდ ყოფნის მთავარი წესებია:

ბევრი მოძრაობა, სიმშვიდე და პროფესიონალური ინსტრუქციის ზედმიწევნით ზუსტად შესრულება.

კოვიდს ახასიათებს ძლიერი სისუსტე, დეპრესიული განწყობა და ხასიათის ცვლილებები. მიუხედავად განწყობის არქონისა, შეძლებიდაგვარად უნდა იმოძრაოთ. მოძრაობა გართულებების თავის აცილების საუკეთესო გარანტიაა.

რეგულარულად, აგრესიულად ავარჯიშეთ სასუნთქი სისტემა.

ფილტვის ვარჯიშის უმარტივეს გზას დღეში რამდენჯერმე ბუშტების გაბერვა წარმოადგენს. თუ სპირომეტრზე მიგიწვდებათ ხელი, ეს ვარჯიში უფრო სახალისო ხდება. სუნთქვითი ვარჯიშები განსაკუთრებით აქტუალურია მათთვის, ვისაც სასუნთქი გზების დაზიანება აღენიშნება.

იმოძრავეთ რამდენსაც შეძლებთ. ბევრს არც ეზო აქვს და არც სოფელი, ამიტომ ოთახში მოუწევს სიარული, მაგრამ გაითვალისწინეთ, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი მოძრაობა დაგიცავთ ქვემო კიდურების ვენური თრომბოზებისგან. თუ ოთახში სიარულს ვერ ახერხებთ, სცადეთ მსუბუქი ვარჯიშები ადგილზე.

იძინეთ საკმარისად. ეს დაგეხმარებათ

დასასრული მე-8 გვერდზე

ბანახილება
უმასპინძლეს ესტონელ სტუმრებს

21 სექტემბერს საგარეჯოს №4 საჯარო სკოლას ესტონეთის დელეგაცია და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლები ესტუმრნენ. ჩვენი სკოლის საპატიო სტუმრები იყვნენ: ესტონეთის ელჩი ქ-ნი რინა კალიურანდი, ბ-ნი პეეტერ პალასი - ესტონეთის საელჩოს წარმომადგენელი, ქ-ნი კადი მეტსანდი ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების თანამშრომლობის განყოფილების დირექტორი, ამავე უწყების კორდინატორი ქ-ნი კადრი მაასკი, ქ-ნი თიინა ილსენი განვითარების თანამშრომლობის საერთაშორისო ცენტრის აღმოსავლეთ პარტნიორობის დეპარტამენტის დირექტორი, ქ-ნი ნინო კარანაძე ესტონეთის საელჩოდან და იუნისეფის წარმომადგენელი ქ-ნი მაკო ყუფარაძე. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლა, გაეცნენ საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის პედაგოგთა მიერ შექმნილ რესურსებს. სტუმრები შეხვდნენ სკოლის ადმინისტარციას და პედაგოგებს, ხოლო მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრა მოხდა უკვე ღია სივრცეში, სადაც მათ ჰქონდათ კითხვების დასმის საშუალება სტუმრებისთვის, საუბარი ეხებოდა სამომავლო გეგმებს და ურთიერთობებს.

მედიცინა
covid-19 და ჩვენ

დასასრული

სიმშვიდის შენარჩუნებასა და ენერგიის აღდგენაში. თუ სიმსუქნე არ გიშლით ხელს, ეცადეთ იძინოთ პირჩაღმა.

იკვებეთ მაქსიმალურად სრულფასოვნად

როგორმე დავეხმაროთ ერთმანეთს, რომ ასეთ დროს ვიტამინებით და ცილებით მდიდარი საკვები ჰქონდეთ მეზობლად მცხოვრებ ინფიცირებულებს. საკვები და პირველადი დახმარების ნივთები შეგიძლიათ ერთმანეთს კართან დაუტოვოთ. კონტაქტი უპირობოდ უნდა იყოს დისტანციის წესების უმკაცრესი დაცვით.

ცხელების, კუნთების, სახსრების და თავის ტკივილის მართვა შეიძლება ჩვეულებრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით.

ხველის რეფლექსის დათრგუნვა აუცილებელი არ არის, თუ ის სერიოზულ დისკომფორტს არ გიქმნით.

დიაბეტით დაავადებულებმა ზედმიწევნით ზუსტად აკონტროლეთ სისხლში გლუკოზის შემცველობა. დიაბეტი და სხვა ქრონიკული დაავადებები მკაცრი კონტროლის ქვეშ მოაქციეთ და თავიდან აიცილეთ მათი გამწვავება.

მედიკამენტოზური მკურნალობა:

არაჰოსპიტალიზირებული პაციენტები ანტიკოაგულაციას ან ანტითრომბოციტულ მკურნალობას არ საჭიროებენ:

ანტიკოაგულაციასა და ანტითრომბოციტულ მკურნალობაში იგულისხმება ასპირინი (იგივე კარდიომაგნილი), აპიქსაბანი, ქსარელტო, კუმადინი, დაბალმოლეკულური ჰეპარინი (სავარადუდო დასახელებებია კლექსანი, ლოვენოქსი, ენოქსიპარინი, ფონდაპარინუქსი. სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება უამრავი განსხვავებული დასახელებით გამოიყენებოდეს).

გთხოვთ ნუ მიიღებთ ამ პრეპარატებს ექიმის დანიშნულების გარეშე.

ასე შეიძლება სიცოცხლისათვის საშიში გართულებები გამოიწვიოთ, რაც ისედაც ურთულეს კოვიდ ინფექციის კლინიკურ კურსს განსაკუთრებით დაამძიმებს. ***არამიზნობრივი ანტიკოაგულაციის საშიში გართულებებია:*** თავის ტვინის ჰემორაგიული ინსულტი, სისხლდენები შინაგან ორგანოებში, განსაკუთრებით ხშირად კუჭ-ნაწლავის სისტემის სისხლდენა. ეს პრეპარატები განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც სპეციფიური სისხლის დაავადებები და ღვიძლის უკმარისობა აღენიშნება.

სტეროიდები, ეგრეთწოდებული დექსამეტაზონი და ჰიდროკორტიზონი. გაითვალისწინეთ, დადებითი შედეგი ამ პრეპარატებით ნანახი იქნა მხოლოდ მძიმე, ჰოსპიტალიზირებულ, ჟანგბადზე დამოკიდებულ პაციენტებში. ცივილიზირებულ ქვეყნებში, ისინი არ გამოიყენებიან მსუბუქი დაავადების სამართავად: მეტიც, არსებობს ლოგიკური ეჭვი, რომ სტეროიდების ნაადრევმა, არამიზნობრივმა გამოყენებამ შეიძლება გააუარესოს დაავადების მიმდინარეობა. სტეროიდების ნაადრევი გამოყენება დააქვეითებს იმუნურ პასუხს და ხელს შეუშლის თქვენს ორგანიზმს ინფექციასთან ბრძოლაში. ასევე, სტეროიდების არამიზნობრივი გამოყენება შეიცავს რთული ბაქტერიული ინფექციის განვითარების საშიშროებას. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სტეროიდების არამიზნობრივმა და არასწორი დოზებით გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კუჭნაწლავიდან სისხლდენის განვითარებას.

ნუ მიიღებთ ანტიბიოტიკებს ექიმის დანიშნულების გარეშე.

კოვიდი არ არის ბაქტერიული ინფექცია. ის ვირუსული დაავადებაა და მასზე ანტიბიოტიკები გავლენას ვერ ახდენენ. ანტიბიოტიკი გვჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კოვიდ დაავადება რთულდება თანდართული ბაქტერიული პნევმონიით ან სხვა სისტემის ბაქტერიული ინფექციით.

ივერმექტინი არ გამოიყენება კოვიდის სამკურნალოდ არც ევროპული არც ამერიკული გაიდლაინების თანახმად.

თეორიულად მას გააჩნია ანტივირუსული მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ამ ეფექტის განსახორციელებლად საჭიროა მისი გამოყენება დაშვებულ თერაპიულზე ბევრად მაღალი დოზით. ასეთი დოზა კი ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია. ივერმექტინის არამიზნობრივად, არათერაპიული დოზებით გამოყენება სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

დღესდღეობით არ არსებობს არცერთი სპეციფიკური პრეპარატი, რომელიც კოვიდ-19-ის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის, სახლში დარჩენილ პაციენტებში გამოიყენება. გარდა მონოკლონალური ანტისხეულების კოქტეილისა, რაც საქართველოში სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის.

ვიტამინები. არ არსებობს კვლევა, რომელიც ადასტურებს "ც" ვიტამინის ან მულტივიტამინების ეფექტურობას კოვიდ ინფექციის მკურნალობაში. არსებობს შედარებით სუსტი და არაპირდაპირი მტკიცებულება "დ" ვიტამინის სარგებლიანობასთან დაკავშირებით; თუმცა მას კოვიდ სიკვდილიანობაზე გავლენა არ აქვს.

არ შეშინდეთ! პანიკამ არ მოგიცვათ და მედიკამენტების არამიზნობრივი გამოყენებით თუ სამედიცინო დაწესებულებებში არასაჭირო ვიზიტით მდგომარეობა არ გაიუარესოთ. თუ თქვენ არ განეკუთვნებით მაღალი რისკის ჯგუფს, ტესტირება ან ექიმთან ვიზიტი მსუბუქად მიმდინარე დაავადებისას აუცილებელი არ არის.

ვინ უნდა მიმართოს გადაუდებელი დახმარების ცენტრებს?

– პაციენტებმა სუნთქვის მძიმე უკმარისობით (მკვეთრად გამოხატული და დინამიკაში დამძიმებული);

– ლეთარგიის, ძილად მიგდების, გონების სრული დაბინდვის შემთხვევაში;

– გამოხატული მწვავე კორონარული სიმპტომის ან გულის უკმარისობის დროს, თუნდაც მსუბუქი კოვიდ ინფექციის მიმდინარეობისას.

იზოლაციიდან გამოსვლის წესები:

– ქართული გზამკვლევის თანახმად, 12 დღე პირველი სიმპტომების დაწყებიდან ან დადებითი პსრ ტესტის დაფიქსირებიდან, უნდა იმყოფებოდეთ იზოლაციაში.

– იზოლაციის მოსახსნელად აუცილებელია ბოლო 48 საათი იყოს უსიმპტომო, ყოველგვარი სიცხის დამწევის მოხმარების გარეშე.

– განმეორებითი ტესტი იზოლაციის მოსახსნელად საჭირო არ არის.

ტესტი შეიძლება დიდი ხნით დარჩეს დადებითი, პაციენტი კი გადამდები აღარ იყოს. ტესტის დადებითობას ვირუსის რნმ-ის ნარჩენები განაპირობებენ და ასეთი ნარჩენები დაავადებას ვერ გამოიწვევენ!

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში".
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

25 სექტემბრის მდგომარეობით

კოვიდსაწინააღმდეგოდ აიცრა – 1742547 ადამიანი
დადასტურებულია – 606492 შემთხვევა
გარდაცვლილია – 8817 ადამიანი.